ცხადდება კონკურსი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

მობილობის პერიოდი: 2025/26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

აკადემიური პერსონალისთვის

თურქეთი

უნივერსიტეტი	**ჩანქირი ქარატეკინის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სამართალი
მობილობის ენა	ინგლისური, თურქული
მობილობის განხორციელების ვადა	13-17 ოქტომბერი 2025წ.
მასპინძელი ერთეული	Faculty of Law
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

ადმინისტრაციული პერსონალისთვის

ესპანეთის სამეფო

უნივერსიტეტი	**ხაენის უნივერსიტეტი**
მიმართულება	საგარეო ურთიერთბათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისთვის
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის მიზანი	თსუ-ში 2026 წლის იანვარში დაგეგმილი ხაენის უნივერსიტეტისა და თსუ-ს პირველი ერთობლივი პერსონალის საერთაშორისო კვირეულის მომზადება
მასპინძელი ერთეული	Movilidad Internacional Universidad de Jaén
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV ინგლისურ ენაზე;
4. შევსებული სამუშაო გეგმა (Mobility Agreement) ინგლისურ ენაზე თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში) და ადმინისტრაციული ერთეულის ზემდგომი რგოლის წარმომადგენლის ხელმოწერით (ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში); დანართი 1;
5. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

რელევანტური მიმართულების პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე *outgoingmobility@tsu.ge* მიმდინარე წლის 11 ივლისის 17:00 საათამდე (თბილისის დროით)! გასაუბრება დასწრებულ რეჟიმში ჩატარდება 2025 წლის 16 ივლისს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელფოსტაზე *outgoingmobility@tsu.ge*